

სასრული ავტომატების ქცევის ზოგიერთი ალგორითმის შესახებ

ტარიელ ხვედელიძე

tariel.Khvedelidze@tsu.ge

კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის ქ.13, 0186, თბილისი, საქართველო

ცნობილი სტატისტიკური წესის „ n ან m სიგრძის წარმატებათა სერია, ან l სიგრძის წარუმატებლობათა სერია“ საფუძველზე აგებულია სასრული ავტომატების კონსტრუქციები სამი შესაძლებელი რეაქციის მქონე (მოგება, წაგება, ინდიფერენტულობა) შემთხვევით გარემოში. შემთხვევითი ხეტიალის თეორიის მეთოდებით მიღებულია ფორმულები ავტომატების მოქმედების შეცვლის ალბათობის მაწარმოებელი ფუნქციებისათვის. დადგენილია სასრული ავტომატების მიმდევრობების კრებადობა იმავე სტრუქტურის უსასრულო (მდგომარეობათა თვლადი რიცხვით) ავტომატებისაკენ და გამოკვლეულია მათი ქცევის მიზანშეწონილობა.